## როგორ შეიძლება საწარმოო დანაკარგები არ ჩაგეთვალოთ დანაკლისად?

- თუ ახორციელებთ სამეწარმეო საქმიანობას და წარმოების პროცესში წარმოგექმნებათ საწარმოო დანაკარგები, რაც გეთვლებათ დანაკლისად და იბეგრებით კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეგიძლიათ მიმართოთ შემოსავლების სამსახურს საწარმოო დანაკარგების ნორმის დასადგენად.

- შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი ნორმის ფარგლებში არსებული საწარმოო დანაკარგები არ ჩაგეთვლებათ დანაკლისად, შესაბამისად არ დაიბეგრება.

## როგორ დგინდება საწარმოო დანაკარგების ნორმები?

- საწარმოო დანაკარგების ნორმის დასადგენად განცხადებით უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურს;

- განაცხადს უნდა დაურთოთ მომსახურების საფასურის, 5000 ლარის, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

## როგორ ხდება საწარმოო დანაკარგების ნორმის დადგენა?

შემოსავლების სამსახურში სპეციალურად შექმნილი კომისია დანაკარგების ნორმას ადგენს 1 თვის ვადაში თქვენგან მოწოდებული ფაქტობრივი ინფორმაციის, ექსპერტული დასკვნისა და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე.